პროგრამა
“სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს”
აცხადდებს საბუთების მიღებას
2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტიპენდიის მოსაპოვებლად

საფუძველი: თსუ რექტორის 2015 წლის 17 აპრილის 57/01–01 ბრძანება

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს II - VIII სემესტრის სტუდენტს, რომელსაც 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დარეგისტრირებულ საგნებში დაგროვილი აქვს არანაკლებ 30 კრედიტისა.

საბუთების მიღება იწარმოებს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურების ცენტრში - თსუ III კორპუსი 107-ე ოთახი, 21 აპრილის 14 საათიდან 24 აპრილის 15 საათამდე.

სტიპენდიის მიღების მსურველმა სტუდენტებმა, უნდა წარადგინონ:

1) პირადი განცხადება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სახელზე;

2) პირადობის მოწმობის ასლი;

3) წინა სემესტრის განმავლობაში ჩატარებულ კონფერენციებში მონაწილეობის/გამარჯვების დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი, კონფერენციის პროგრამა, ჩატარების თარიღის მითითებით.

4) გამოქვეყნებული ნაშრომის ქსეროასლი სადაც ნაჩვენები იქნება კრებულის დასახელება, კრებულის სარჩევი, ნაშრომის სათაური, გამოცემის ადგილი და პერიოდი;

5) ბეჭდით დამოწმებული საბანკო რეკვიზიტი საქართველოს ბანკიდან (ანგარიშის ნომრის ამონაწერი საქართველოს ბანკიდან) პირადი სტუდენტური ანგარიშის ნომრის მითითებით.